



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ი



KA000033403309318

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ. N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 10

14 / მარტი / 2018 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში ჭანტურიას (ყოფილი ლესელიძე) ქუჩაზე მდებარე 3905 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზე მდებარე შენობის (კულტურის სახლი) ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში ჭანტურიას (ყოფილი ლესელიძე) ქუჩაზე მდებარე 3905 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზე მდებარე შენობის 1560 კვ.მ ფართიდან 1343.3კვ.მ (კულტურის სახლი) ფართი, ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისათვის" ხუთი წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა. საკადასტრო კოდი 50.04.43.114

განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი



რამაზ ბაღაკაშვილი